წელიწადი 1-ლი ტელეფონი № 76. კვირა 23 აპრილი 1917 წ.

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
წლი რად. . . 15 მან.
ნახევარი წლით . 8 მან.
თვიურათ . 1 მან. და 50 კ.
ცალკე ნუმერი შვიდი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილად გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით ღირს . . . 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე 15 კ.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორათ
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა ორიოდჯერ ნება უფლება სამ გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 2 საათ. 5 მ.
2 საათის შემდეგ . 6 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქ. ს. მიქელაძის ს.

№ 12 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 12

ალექსანდრე გიორგის ძე და ოლიმპიადა ოტიას. ასული ერისთვები, შვილებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ 21 აპრილს ს. სალომინაოში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა, პირველის უსაყვარლესი მამა, მეორესი ძვირფასი მამამთილი ხოლო მესამესი მოალერსე ბაბუა,

ნადვორნი სოვეტნიკი

**გიორგი დავითის ძე ერისთავი**

პანაშვიდები ყოველ საღამოს 6 საათზე დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული 1—1

თანამოაზრე ახალგაზრდობის საყურადღებოთ

სამშაბათს, 25 აპრილს ქ. ქუთაისში დანიშნულია

**სრულიად საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მოსწავლე ახალგაზდობის** (სტუდენტებისა და საშ. სასწ. მოწაფეების)

## — — კონფერენცია. ——

შენიშვნა: კონფერენციაში დაესწრება ორ-ორი დელეგატი არა ადგილების მიხედვით, არამედ იმ სასწავლებლის მიხედვით, სადაც პარტიული ორგანიზაცია არსებობს, განურჩევლად სქესისა. დელეგატებს თან უნდა ჰქონდეს პარტიული მანდატი. ბინის შესახებ იკითხეთ „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციაში.

კონფერენციის მომწყობი კომისია.

სატახტო ქალაქის ცირკი ძმ. ეფიმოვებისა,

ჰოსპიტლის ქუჩა საკუთარ სახლში.

კვირას, 23 აპრილს გაიმართება 2 **დიდი საზეიმო წარმოდგენა.**

დილის წარმოდგენა დაიწყება 1 საათზე დაკლებულ ფასებში 25 კაპ.—1 მ. 50 კაპიკამდე სრულის პროგრამით; მონაწილეობენ გამოჩენილი მსახიობნი. ანტრაქტებში მუქთად სეირნობა სახედრებზე ბავშთათვის.

საღამოთი საგანგებოთ შედგენილი პროგრამა შესრულდება. მონაწილეობას მიღებენ:

## 4 ეშმაკად წოდებული მფრინავი ადამიანები

და ყველა დანარჩენი გასტროლიერები. დასაწყისი საღ. 8 ნახევარ საათზე.

**ანონსი:** ორშაბათს იაპონიის კარის მსახიობთა დასის ბ-ნ იამადასანის ხელმძღვანელობით დიდებულად მოწყობილი ბენეფისი გაიმართება.

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

20 აპრილიდან ფრიად საინტერესო პროგრამა. **დიდებული დაკრძალვა რევოლიუციის მსხვერპლთა პეტროგრადში 23 მარტს. ძირს ხუნდები! გაუმარჯოს თავისუფალ რუსეთს!** პოლიტიკურ მომენტის კინო ილიუსტრაცია. საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით.

**ანონსი:** ორშაბათიდან, 24 აპრილიდან. თავისუფლების ზეიმი ბაქოში 12 მარტს ნამდვილიდან. **ღამის ფრთები** მხატვრ. დრამა 5 ნაწ. საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით. ლილიპუტა და არწივის თვალი სახუმარო.

ელექტრო ამპირ თეატრი

20 აპრილიდან ფრიად საინტერესო პროგრამა. დიდებული დაკრძალვა რევოლიუციის მსხვერპლთა პეტროგრადში 23 მარტს. ძირს ხუნდები! გაუმარჯოს თავისუფლებას! პოლიტიკურ მომენტის კინო-ილიუსტრაცია. საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით.

**ანონსი:** ორშაბათიდან, 24 აპრილიდან თავისუფლების ზეიმი ბაქოში 12 მარტს ნამდვილიდან. „მეგობარო, კრინტი არ დასძრა“ „ცხოვრების მდინარე„ მხატვრული დრამა 4 ნაწილად ბ-ნი ბაკშეევისა. ქ-ბნ ორლოვისა და პანოვის მონაწილეობით „ვინაა ოთახში?!“

მიხეილის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა

აცხადებს, რომ 28 აპრილს ამა წლისა მოხდება ბანკში

## ვაჭრობა უძრავის ქონებისა,

რომელიც ეკუთვნოდა თ-დ გიორგი დავითის ძე წერეთელს და რომელიც მდებარეობს დაბა საჩხერეს, შორაპნის მაზრაში, და შეიცავს ერთ ნაკვეთ ადგილს, ზომით თორმეტი ქცევა, შენობით. ვაჭრობა დაიწყება 23000 მანეთიდან. ცნობა მსურველთ შეუძლიათ მოითხოვონ გამგეობისაგან. 2—1

## შაბიამანი

და საჭმლისათვის ღვინისქვის სიმჟავე იყიდება „კავკასიაში ტეხნო-ქიმიურ წარმოებათა ამხანაგობაში“.

თფილისი, ოლღას ქუჩა № 70. 6 5

## დღეს:

**წერილები:**

ინ-ხანი—გამოურკვევლობა.
ქართველ კათოლიკეთა თათბირისთვის
ი. იმერელი—მივხედოთ საჩხერის ქართველ ისრაელებს.
ქართული პრესა
Dis. ისევ აჭარა.
რუსეთ ფინეთის ურთიერთობა.
Ignotus. კორიცკის დათხოვნა.
ეროვნული კითხვა.

**ცნობები:**

დეპეშები: რევოლუციის ამბები.
ომის დეპეშები.
უცხოეთი.
ზავის გარშემო.
ბრძოლის ველიდან მოწერილი ამბები.
რუსეთი.
ქუთაისისა და თბილისის ქრონიკა.

## მოწოდება

ქართველო ხალხო ვანურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა ესწრაფეთ დაიმუშავოთ ყოველივე ნაჭერი თავისუფალი ადგილისა, დაეხმარეთ ერთმანეთს, დასთესეთ საჩქაროთ უფრო პური, სიმინდი, ქერი, ფეტვი, კარტოფილი და ბოსტნეული, რომ ერმა ფავი დააღწიოს უსაშინელეს კარზე მომდგარ სიმშილს. თუ ჩვენი მოსავალი არ მოგვივიდა, უბედურება ელის ერს. არ დაზოგოთ ფული და შრომა, რომ უზრუნველ ჰყოთ თქვენ თქვენი თავი და თქვენი ოჯახი. სხვისი იმედი ნულარ გაქვთ.

## მამულიშვილნო!

დღევანდელი მომენტი განსაკუთრებულს ხარჯებს ითხოვს. შემოიტანეთ თქვენი წვლილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისათვის, შემოწირულება მიიღება „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციის კანტორაში.

## განცხადება.

ვაჭარმა გერმანე სულაბერიძემ

მიიღო რამდენიმე ვაგონი დაბალიჯხარ. **სიმინდი**, რომელიც გამოდგება საქონლის საკვებად. ფასი ფუთი 1 მ. და 40 კაპ. ადრესი: ქუთაისი, ბალახვანის ქუჩა. 6-2

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ

პარტიის მთავარი კომიტეტი მოუწოდებს პარტიის ყველა წევრებს მცკიცედ შეჰკრან კავშირი პროვინციაში—როგორც ქალაქებში, ისე სოფლად.

### გამოურკვევლობა.

არაფერი უკარგავს ადამიანს ცხოველ მყოფელ ძალასა და ენერგიას ისე, როგორც გამოურკვევლობა.

ასეთი მდგომარეობა ავადმყოფის იმ მომენტს შეედრება რომელსაც მედიცინაში კრიზისი ჰქვია და რომელმა მომენტმაც უნდა გადასწყვიტოს ინდივიდის ყოფნა არ ყოფნის საკითხი. ამიტომ ექიმის მთელი ენერგიაც, თუ წინასწარი ზომები დროზედ არ მიღებულა უნდა კრიზისის კეთილად გადატანის მოხმარდეს.

ერის ცხოვრების მთავარი ფაზებიც მეტად მიემსგავსება ინდივიდურ არსის ცხოვრების ფაზებს. პირველიც ისევე კონკრეტიული, ხორცშესხმულია, როგორც მეორე. მაშასადამე ერსაც, როგორც კოლექტიურ სხეულს, ისევე უნდა სიცოცხლე, როგორც ინდივიდს. ამიტომ ერის ცხოვრებაშიც დგება ხოლმე ისეთი მომენტები, რომელსაც კრიზისი ეწოდება.

სწორედ ასეთი მდგომარეობა სუფევს დღეს არა თუ მარტო რუსეთში, არამედ მთელს ქვეყნიერებაზედ. ყველა განიცდის ეგრედ წოდებულ ეროვნულ კრიზისს. ესე იგი: ან იარსებებს ესა თუ ის ერი, ან და კიდევ რამოდენიმე საუკუნით ვადაიდევება მისი რყევითი, მდგომარეობა და მაშასადამე ყოველთვის სიკვდილის შიშით იქნება შეპყრობილი, რაიც კულტურულ შემოქმედებითს მუშაობის გაჩაღებას მეტად დააყოვნებს და შეაფერხებს.

არა ერთხელ თქმული და დაწერილა, რომ ეს ომი და რევოლუციაც უფრო მცირე ერთა აღორძინებასა და გამოცოცხლებას ემსახურება, ვიდრე სხვა რამეს. აკი გამართლდა კიდეც ერთის მხრით ეს აზრი. რამდონათ გაამართლა ამან საქართველოს იმედი, ეს სხვა კითხვაა, ხოლო რომ კი უნდა გაამართლოს, ამაზე ორნაირი პასუხი შეუძლებელია.

დღეს საქართველოც ისეთსავე კრიზისს განიცდის, როგორც სხვა ერები და სახელმწიფოები.

ზოგმა გადაიტანა კიდეც ეს კრიზისი და ავადმყოფ სხეულს სასიცოცხლო ძალა შთაბერა. რომელმაც სათანადო ნაყოფიც გამოიღო და ამოუყენა ძლიერ ერებს გვერდით გუშინდელი უიმედონი. აი პოლონეთი და აი ფინეთიც. რაც სულ მოკლე ხანში მოგახსენებთ: აი უკრაინაც, აი ლიტვაც, აი პალესტანაც, აი სომხეთიც და სხვა.

ყველა ესენი კარგად მომზადებული შეხვდნენ ამ კრიზისს და წინასწარი მალამოც მოუმზადეს მას ჭრილობების მორჩენისათვის.

ამასვე ვერ ვიტყვით საქართველოზედ. ქართველი ერის ექიმები—ინტელიგენცია აიბნ-დაიბნა იმ თავიდანვე და ბოლო ვერ აუღო მომენტს. ერთი მეორის კინკლაობასა და ქიშპს უფრო მიუნდნენ, ვიდრე შემოქმედებითს მუშაობას.

გვიან ჯერ კიდევ არ არის და ეხლა მაინც გავასწოროთ ჩვენი ცოდვები

აუარებელი კითხვებია წამოყენებული ჩვენში, რომელნიც დაუყონებლივ გამორკვევას ითხოვენ და სწორედ ეს კითხვები განიცდიან კრიზისს. იბადება კითხვა: როდემდის?

თუ ყველასი არა, რამოდენიმეთა გადაწყვეტა დღესაც შესაძლებელია. აი მაგალითისათვის ავიღოთ ჩვენი მეცნიერება. რა მდგომარეობაში იყო, ეს აქამდის, ყველასათვის აშკარაა. ეხლა არ შეიძლება მისი გამოურკვეველ მდგომარეობაში დატოვება. ჩვენ სრული იმედი და საბუთებიც გვაქვს იმისა, რომ ლოლიკა თავისას იზამს, და ჩვენც სულ ახლო მომავალში ისტორიულ აუცილებლობამდე მიგვიყვანს.

სადავო, კულტურულ-პოლიტიკური ავტონომია უკვე მოპოებული გვაქვს. ჩვენ სრული უფლება გვაქვს საკუთარი უნივერსიტეტი გავხსნათ, ყველა სკოლებში ქართულად შემოვიღოთ სწავლება. ამას კი მეცნიერები სჭირია, რომელთა რიცხვი ღვთის წყალობით არც თუ ისე მცირეა.

იღონეს ამათ ჯერ რამე? განა გამოურკვეველი არ არის, რომ ჩამოვლენ თუ არა ისინი რუსეთიდან თვის სამშობლოში? და რომ უნდა ჩამოვიდნენ, ეს უეჭველია, თუ მომავალი თაობის წყევა-კრულვა არა სურთ დაიტეხონ თავზე და თუ მათი სამშობლოსადმი სიყვარული ცარიელი სიტყვები არ არის. ისინი ფიცხელ მუშაობას უნდა შეუდგნენ და მეცნიერების ყველა დარგში მეცნიერული შრომები მოგვცენ.

არის კიდევ მეორე დიდმნიშვნელოვანი კითხვა. ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა. ეკონომიური ცხოვრება მსწრაფლ აღორძინების გზას უნდა დაადგეს და წელში გატეხილი ჩვენი ვაჭრობა-მრეწველობა გააღრმავოს, ხოლო ისე კი არა, რომ ძველებურად ჩარჩული ხასიათი შეითვისოს, არამედ წმიდა კულტურულ, ევროპიულ ნიადაგზე დასდგეს. სიმდიდრე ბევრია დამალული საქართველოს მიწის გულში და მისი შემოქმედებით ნიადაგზე დაყენება შეჰქმნის ჩვენს სამშობლოში ახალ ეპოქას სულ სხვა შინაარსით, სულ სხვა სულის კვეთებით.

ჩვენ დღეს ყველა ვზეიმობთ, აღტაცებულნი ვართ და გაბრუებულნი რევოლუციის გამარჯვებით, რაიც ადვილი გასაგები და ასახსნელია. მაგრამ სიცოცხლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენერგიით გამსჭვალულ ერს მართებს გრძნობების ზეიმს დაუყონებლივ დაუკავშიროს ის მრავალმხრივი საქმიანობა, ურომლისოდ კეთილ მომავლის აშენება შეუძლებელია.

ყველა პარტიები ეცილებიან ერთი მეორეს, არა მე უფრო მინდა ხალხისათვის სიკეთე და არა მეო.

ხოლო მივხედოთ, რა მდგომარეობაშია დღეს ჩვენი მეურნეობა, ჩვენი სურსათსანოვაგის საქმე? ის, რაც თვალწინ წარმოგვიდგება, არა გვგონია, ვისმე აკმაყოფილებდეს და არ ულვიძებდეს სურვილს გარდაქმნა გაუმჯობესებისას.

როდემდის უნდა იქნეს ყველა ეს კითხვები ასეთ გამოურკვეველ მდგომარეობაში? როდემდის უნდა იქნას ჩვენი სამშობლოს ყველა კითხვები და საჭირო მოთხოვნილებები ასეთ რყევაში?

ბურუსის გაფანტვას დაუყონებლივ უნდა შეუდგეთ.

ამის სურვილი ყველასა გვაქვს. ყველას გვინდა სამშობლოს ვემსახუროთ. სანამ პარტიებს ზნეობრივი ავტორიტეტი ჯერ კიდევ არ დაუკარგავს, შევიმუშაოთ საერთო პლატფორმა, გამოვნახოთ საერთო გზა, რათა ყველას, პარტიისა და შეხედულების მიუხედავად, შეძლება ჰქონდეს ერის აღორძინების დიდ საქმეში თავისი წვლილი შეიტანოს.

ინხანი.

## ქართველ კათოლიკეთა თათბირისათვის.

დღეს ქუთაისში მოხდება ქართველ კათოლიკეთა საყურადღებო თათბირი კათოლიკეთა ლათინურ ტიბიკონის გაქართველების. შესახებ ქართველი კათოლიკენი მრავალ საუკუნის განმავლობაში მოკლებული არიან სამშობლო ენაზე წირვა ლოცვას, და ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც ქართველ კათოლიკეთ რომის პაპისგან სრული უფლება ჰქონდათ, რომ სამშობლო ენაზე ეწარმოებინათ ეკლესიის მსახურება. (იხ. ჩვენს გაზეთში მოთავსებული ბ. მხედარის ფელეტონები) ახალციხის ქათველ კათოლიკეთ ღვთის მსახურება სომხურ ენაზე აქვთ, რამაც დიდი ზიანი მოუტანა ქართველ ერს. ბევრი ქართველი კათოლიკე გასომხდა და ბევრი კიდევ სტამბოლის ფრანგ კათოლიკებში გაითქვიფა. ქართველ კათოლიკებმა სამუდამოთ უნდა დღეს მოსპონ ეს ბოროტება. საქართველოს ინტერესები მოითხოვს, თითოეული მისი შვილი მტკიცე ეროვნულ საფუძველზე აღზრდილი იყოს. ამისათვის მიუცილებელია ქართველ კათოლიკებმა ეხლავ შემოიღონ ქართული ტიპიკონი და საეკლესიო სკოლები ქართულ ენაზე, და საზღვარი დაუდვას ახალციხის ქართველ კათოლიკეთა გადაგვარებას. დღეს საერთო განახლების მომენტია, ძველი ბოროტება ითრგუნება ჩვენ გვწამს რომ ნეტარ განახლების ფერხულს არ ჩამორჩებიან ქართველი კათოლიკები და ისინიც საქართველოს ეროვნულ განახლების შენობასთან თავის აგურს მიიტანენ.

დღეს შეკრებილმა ქუთათურმა ქართველმა კათოლიკებმა ეს უნდა ამცნონ მთელ საქართველოს ქართველ კათოლიკობას. ქუთაისში ბევრია ქართველ კათოლიკეთა ინტელიგენცია და საზოგადო მოღვაწენი, აი, საჭიროა მათი შეგნებული მოწოდების ხმა. დღევანდელ თათბირზე მედგრად გაისმასდა მთელ საქართველოს ქართველ კათოლიკეთ ეუწყოს ეს დიდი ეროვნული საქმე. მივესალმებით თათბირს და უსურვებთ ენერგიის გამოჩენას ქართულ ტიბიკონის მოპოების კითხვაში.

## მივხედოთ საჩხერის ქართველ ისრაელებს.

გასულ წელს დ. საჩხერეში ცეცხლმა დააზარალა 96 კომლი ქართველი ისრაელი. ცეცხლმა გააუბედურა ქართველ ისრაელთა ულარიბესი ნაწილი, მიწის მუშები.

96 კომლი ღია ცის ქვეშ დარჩა, უპატრონოდ და უნუგეშოდ.

გულკეთილმა მეზობლებმა შარშან დამწვარ ისრაელებს ნუგეში სცეს, თავშესაფარის დათმობით და საკვების გზიარებით. მაგრამ დამწვარ ოჯახის ალსადგენად უფრო რადიკალური დახმარება არის საჭირო. როგორც საჩხერიდან ჩამოსულმა ქართველმა ისრაელმა გადმოგვცა დამწვარ ისრაელთა ყოფა საშინელი და აუტანელი ყოფილა. უსახლკაროდ დარჩენილი ისრაელები **შიმშილს** განიცდიან, ბევრი დასნეულდა და ჩამოსულ ისრაელის თქმით დღეში ხუთი სული ეწირება დუხჭირ მდგომარეობას.

სამარცხვინო იქნება, რომ ქართველმა საზოგადოებამ გულცივად შეჰყუროს ისრაელთა ტანჯვას. შეძლებისდაგვარად უნდა გაიღოს ყველამ თავის წვლილი განსაცდელში მყოფ მოძმეთა დასახმარებლად.

კერძო შემოწირულების გარდა აუცილებელია დროებითი მთავრობამ მიეშველოს დაზარალებულ ხალხს და ხაზინიდან მისცეს დახმარება. ამისთვის კი თვით საჩხერელმა ისრაელ ქართველებმა უნდა სათანადო შუამდგომლობა აღძრან.

დროზე მივეშველოთ განსაცდელში მყოფ ძმებს!.. ეს მით უმეტეს ამ თავისუფლების დროს უნდა მოხდეს, რადგანაც რევოლიუცია ხომ უმთავრესად მაშვრალთა სახელით ხდება.

ი. **იმერელი**.

## ქართული პრესა.

როგორც ჩვენს მკითხველებს უკვე ეცოდინებათ, ბაქოში შესდგა სრულიად კავკასიის მუსულმანთა ყრილობა და ეხლა დასასრულს უახლოვდება კიდეც. როგორც ამ სხდომებმა გამოარკვია და როგორც მოსალოდნელიც იყო, ყრილობას არა ჰქონდა ეროვნული სახე. იქ შედიოდნენ სხვა და სხვა ეროვნების მუსულმანები და ამიტომაც უფრო სარწმუნოებრივ-პოლიტიკური ხასიათიც მიიღო, ყველა ამას აღნიშნავს გაზ. „საქართველო“ და დასძენს:

უნდა ვიფიქროთ, რომ მუსულმანთა გაერთიანება მარტო კავკასიის მაჰმადიანობით არ დამთავრდება და იგი გულისხმობს სრულიად რუსეთის მუსულმანთა საზოგადოებრივ აზრის კავშირს, რომელიც მომავალ დამფუძნებელ კრებაზე დიდ როლს ითამაშებს თუ რევოლუციის ინტერესებიდან გამოვალთ, რომელიც აუცილებლად ძალთა გაერთიანებას და საზოგადოებრივ აზრის კავშირს მოითხოვს და თუ ვირწმებთ, რომ კავკასიის მუსულმანები მართლა შესძლებენ ამ ძალთა გაერთიანების მოხდენას და ერთ პოლიტიკურ ტაქტის შემუშავებას, უნდა ისიც ვთქვათ, რომ მუსულმანების განზრახვა დიდ სამსახურს უწევს რევოლიუციას და ამ მხრივ კავკასიის მუსულმანთა ყრილობა უკვე დიდი ფაქტია, რომელიც სრულ ჩვენ თანაგრძნობას იწვევს.

მაგრამ დადებითი მხარეებს, როგორც ყველგან ყოველთვის, აქაც მოჰყოლია უარყოფითი მხარეებიც, რომელიც უფრო ორგანიულ ნაკლად მიაჩნია პატივცემულ გაზეთს და არატეხნიკურ უხერხულობად, რის შემდეგაც ვკითხულობთ:

ასეთ საკითხებს ეკუთვნის ენის საკითხი და საკითხი წარმომადგენლობისა. რაც უნდა საპატიო იყოს მიზანი მუსულმანთა გაერთიანებისა და რაც უნდა მტკიცედ აერთიანებდეს მუსულმანებს ისლამი, კულტურა და პროგრესი თავისას სჩადის და ისლამი მსოფლიო სარწმუნოებიდან ბოლოს და ბოლოს ცალ ცალკე ეროვნულ ისლამურ ეკლესიებად იქცევა. ამას მოითხოვს ეროვნულ კულტურული ზრდა ისლამურ ერებისა და მთელი თანამედროვე პროგრესი. ამ მხრივ მ. ჯ. გაჯინსკის სიტყვა შესახებ საერთო მუსულმანურ ეროვნულ პოლიტიკისა უფრო მეტ დეტალებს საჭიროებს. საერთო მუსულმანური პოლიტიკა იქნება საჭირო საერთო ტაქტიკისათვის, მაგრამ ამავ დროს იგი ერთნაირად მოუვლის იმ ერებს, რომელთაც აერთიანებს ისლამი კავკასიაში. ეს არის დღის საკითხი. რომელზედაც თვით მუსულმანები უფრო მეტს ფიქრობენ, ვიდრე ჩვენ.

## ისევ აჭარა

საზღვარ შემოღვეული საქართველო უნდა გამთელდეს, დღეს უნდა შეიქნას სრულიად ქართველი ერის მკიდრო და მაგარი კავშირი. უამისოდ ჩვენი ეროვნული ცხოვრების აღდგენა არ მოხერხდება. ისტორიულმა უბედობამ ივერიის ისედაც პატარა სხეულს, ჩამოჰგლიჯა რამდენიმე კუთხე და იგი ძალით გადაგვარების გზაზე დააყენა. ჩვენს ისტორიულ — პოლიტიკურ ცხოვრების დროს ასეთი მწარე ბედი ხვდა აჭარას. აჭარა მოჰგლიჯეს თავის დედა საქართველოს.

მას შემდეგ კარგა ხანმა განვლო, დღეს წამებული აჭარა ისევ შემოუერთდა თავის ოჯახს, მას ისევ ქართული გული აქვს, იგი ისევ ქართველია, სხვა ქართველთაგან მხოლოდ სარწმუნოებით განსხვავებული.

რა არის დღეს ჩვენი მოვალეობა? ქართული სულის აღდგენა აჭარელთ შორის, ქართულ წერა-კითხვის გავრცელება, ქართულ ინტერესის გაგებინება... მუშაობა ენერგიული კულტურული... ჩვენ სიხარულით ცას ვეწეოდით, როდესაც ჩვენ ყოველ დღიურ გამოცემებში ვკითხულობდით, ამ უკანასკნელ წლის აჭარაში უშაობის ამბებს. ჩვენი ძმების მიძინებულმა სულმა ელვის სისწრაფით იფეთქა. ყველამ იგრძნო ეროვნული ტრაგიზმი. აჭარლები გვიგზავნიდენ მადლობის წერილებს და უხაროდათ, რომ ძმები ისევ შევიყარენით... ჩვენს სიმწუხარეს საზღვარი არ აქვს დღეს, როდესაც ეს მიუცილებელი მუშაობა უცბად შენელდა და იქნება შესწყდა კიდეც. რევოლუციის განცდამ თითქმის სრულიად დაგვავიწყა ჩვენი დიდი მოვალეობა, საქმე. დღეს ჩვენ არაფერი ვიცით, რახდება აჭარაში, რა შეიტანა იქ ახალმა დრომ, და რას ფიქრობდენ აჭარელები. ამ დროს მუშაობის შენელება საშვილიშვილო გამოუსწორებელი შეცდომაა. ჩვენ ველით ცხოვრების განახლებას, ეროვნულ ზრახვათა განხორციელებას. და მერე უაჭაროდ?.. განა აჭარამ არ უნდა იცოდეს, ჩვენ რა გვსურს?

როდესაც აჭარაში ყოველ გვარად წინ გვეღობებოდენ ბნელი ძალები და მოქმედებას გვიშლიდენ, მაშინ არ ვერიდებოდით აჭარაში მოღვაწეობას და დღეს რა მოხდა? ძველი სულთა მხუთავი წეს წყობილება ხომ აღარ არსებობს?

აწ ვინ დაგვიშლის აჭარაში ქართულ სულის აღდგენას... არავინ...

ახალი რუსეთი ყველას ანიჭებს თავისუფლებას. აწ აჭარელებს ვერ ეტყვიან, თქვენ ქართველები არა ხართო. დაუყოვნებლივ უნდა განვაახლოთ აჭარაში მოქმედება.

აჭარის გარდა რიგზე სდგას კითხვა ჰანეთ-ლაზისტანისა, იქ მოღვაწეობა გაგვიადვილდება, იმ შემთხვევაში, თუ აჭარა დავიახლოვეთ და იქ ქართული ეროვნული შეგნება სრულიად გავაცოცხლეთ.

დროს ნუღარ ვკარგავთ, საჩქაროდ შეუდგეთ საქმეს, ამ ზაფხულს აუცილებლად უნდა გაიგზავნოს აჭარისკენ გამოცდილი პირები.

აჭარაში უნდა გავგზავნოთ ქართული წიგნები, ქართული ჟურნალ-გაზეთები და ქართველი მასწავლებლები... გავიგოთ აჭარის ამბები, მდგომარეობა და მას შესაფერი ხმა მივსცეთ.

Dis

## რუსეთ-ფინეთის ურთიერთობა

გაზ. „დენში“ მეტად საყურადღებო წერილია მოთავსებული ფინეთისა და რუსეთის დამოკიდებულებათა შესახებ. ფინეთის მთავრობის წარმომადგენელმა ტოკოიმ ფრიად ჩამოყალიბებული აზრი გამოსთქვა სეიმში მთელი ერის სახელით. მან აღნიშნა ჯერ ფინეთის დამოკიდებულება ძველ რუსეთთან და სთქვა, რომ რომანოვთა დინასტიის ბატონობა აუტანელი უბედურება იქნებოდა ფინეთისათვის და ამიტომაც ემზადებოდა ფინეთის ახალგაზრდობა გერმანელების დასახმარებლად და მათის შემწეობით დაცემულ რუსეთის სახელმწიფოს განაწილებისათვის. მაგრამ მეფის მეფობა გაქრა და რაკი თვით რუსის ხალხმა იგდო ხელში მართვა-გამგეობა სახელმწიფოისა, მან ფინეთს მიანიჭა პირველად დამოუკიდებელი არსებობა და ამით გამოასწორა ისტორიული შეცდომა. ამის შემდეგ გაზეთს მოყავს ტოკოის აზრი შესახებ იმისა, თუ როგორი დამოკიდებულება ექნება თავისუფალ რუსეთთან თავისუფალ ფინეთს. „ჩვენი ერის განვითარება, მისი წარსული და განვლილი ისტორია ცოცხალი მოწამეა იმისა, რომ ფინეთის ერი საკმარისად მომწიფებულია თავისუფალი და დამოუკიდებელი არსებობისათვის, თვისი უფლებათა, საქმეთა და გეგმათა გამორკვევისათვის. მთელი ჩვენი კულტურული წინმსვლელობა ჩვენსავე განსაკუთრებულ ჩარჩოებში ხდებოდა, ეკონომიური განვითარებაც იმდენათ თვითარსი იყო და ჩვენი საზოგადოებრივი სხეულიც იმდენათ განსხვავებული რუსეთის საზოგადოებრივი სხეულისაგან, რომ ლაპარაკიც კი შეუძლებელია ამ ერთა შედუღებაზე მეორე ერის საზარალოდ. მე დარწმუნებული ვარ, რომ თავისუფალი, ახალი რუსეთი, ვიტყვი პატივცემული მეზობელი მინდა მიუმატო დიდათ პატივსაცემი მოკავშირე — აგრეთვე თავისუფალი ხალხი უნდა იყოს, ვინაიდგან თავისუფალი ხალხისათვის აუტანელია როგორც დაჩაგრულ მეზობელთა ისე მოკავშირეთა მონობა“.

„დენის“ აზრით ასეთი სიტყვა ფინეთის სენატორისა მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ფინეთს რუსეთისაგან სრული ჩამოცილება დაუსახავს მიზნად და განაგრძობს:

„მომავალი დამოკიდებულების საკითხის გადაწყვეტა ფინეთსა და რუსეთს შორის მხოლოდ რუსეთის დამფუძნებელ კრებას ეკუთვნის სეიმთან შეთანხმებით და ცალმხრივად ამის გადაწყვეტა არც ფინეთის სეიმსა და არც სხვა რომელიმე ძალას არ შეუძლია.

რასაკვირველია, თავისუფალი რუსეთი აზრადაც არ გაიტარებს ფინეთის სახელმწიფოებრივ წყობილების თავისებურობა შელახოს და დროებითმა მთავრობამაც დააჩქარა გაეუქმებია ძველი რეჟიმის მიერ შექმნილი უკანონობა. ფინეთის შინაგან საქმეებში არც დროებითი მთავრობა ჩაერევა და არც დამფუძნებელი კრება.

ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ იმაში, რომ ფინეთი ყოველ შემთხვევაში შეინარჩუნებს სრულს თავისუფლებას შინაგანი საქმეების გამგეობაში.

რუსეთისა და ფინეთის ურთიერთ შორის დამოკიდებულების საკითხი მეტად რთული და ფაქიზია. ჩვენ ღრმადა ვართ დარწმუნებული, რომ ამ დამოკიდებულებათა მოწესრიგება ორთავე მხარეთათვის საკეთილდღეოთ დაგვირგვინდება იმ პირობით, თუ ფინეთი მხედველობაში მიიღებს თავისუფალ რუსეთის პირველ საჭიროებათა სახელმწიფოებრივ ინტერესებს და თუ, თავის მხრივ, თავისუფალი რუსეთიც იოტის ოდნავ არ შეეცდება, შეკვეცოს ფინეთის ერის კანონიერი მოთხოვნილებანი და უფლებები.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

### უნგრეთის სოციალისტები.

უნგრეთის სოციალისტურმა პარტიამ, რომელსაც 1913 წლიდან კრება არ გაუმართავს, 8 აპრილს (ახ. სტ.) ფარული თათბირი მოახდინა.

განსახილავი იყო შემდეგი კითხვები: რუსეთის რევოლიუცია, ზავი და უნგრეთის პროლეტარიატი.

მიღებული რეზოლიუცია სხვათა შორის აღიარებს, რომ უნგრეთის ხალხს ამ ჟამად იმაზე მეტი თავისუფლება არა აქვს, რაც რუსეთის ხალხს რევოლიუციამდე ჰქონდა. შემდეგ რეზოლიუცია აღნიშნავს, რომ უნგრეთის დემოკრატიზაცია ამ ჟამად უნგრეთის ხალხის კანონიერ პოლიტიკურ მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებდა და თან ზავს მოგვიახლოვებდა. რეზოლიუცია ითხოვს უნგრეთის მთავრობისაგან სიტყვისა, კრებისა და კავშირის თავისუფლების შევიწროებათა გაუქმებას. რეზოლიუცია ითხოვს კიდევ, რომ ავსტრიამ და გერმანეთმა გამოაქვეყნონ გულწრფელი პირობები ზავისა.

### „ერთა კავშირი რუსეთში“.

აპრილის თვის განმავლობაში გაზეთ „რუსკაია ვოლია“-ს „დეპეშათა ზალა“-ში გაიმართა მთელი რიგი ლექციებისა, რომელთა საერთო სათაური იყო: „ერთა კავშირი რუსეთში“.

შესავალი ლექცია თემაზე: „ერთა კავშირი რუსეთში“ წაიკითხა ხუთშაბათს, 13 აპრილს, პროფესორმა ნ ა. გრედესკულმა.

მეორე ლექცია თემაზე: „თავისუფალი ფინეთი“, წაიკითხა პრივ. დოც. კ. ფ. ტიანდერმა.

ლექცია „თავისუფალი საქართველო“ წაიკითხა ნ. ნიკოლაძემ.

განზრახული აქვთ წაიკითხონ კიდევ ოთხი ლექცია; „თავისუფალი ესტონეთი“, „თავისუფალი უკრაინა“, „თავისუფალი ლიტვა“, „თავისუფალი სომხეთი“.

მთელი შემოსავალი გადაიდება დატყვევებულ ჯარის კაცთა სასარგებლოთ.

### სოციალ დემოკრატები.

ვენის გაზეთი „არბაიტერ ცაიტუნგ“ გვატყობინებს, რომ სოციალისტურ პარტიის პრეზიდიუმმა, რომელიც რეისსტაგისა და პრუსიის პალატის ლიდერთა კრებას დაესწრო, ბერლინში 2 აპრილს ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც იგი სავსებით ემხრობა რუსეთის ჯარის კაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭოსაგან შემუშავებულ სამშვიდობო რეზოლიუციას. ავსტრო-გერმანელთა და უნგრეთის სოციალ-დემოკრატთა სახელით გამოვიდენ ადლერი და გაზე, რომელთაც ხსენებულ რეზოლიუციას სრული თანაგრძნობა გამოუცხადეს.

### ზავის გარშემო.

გაზ. „ბაზლერ ანცაიგერი“ საყურადღებო ამბავს იტყობინება, ბერნში ინგლისის და ავსტრიის ელჩებს მოლაპარაკება ჰქონდა თ ზავის შესახებო.

### ომის გარშემო.

ოსმალთა სამხედრო შტაბმა მესოპოტამიასა და კავკასიის ბრძოლის ასპარეზებით აქტიური მოქმედება დაიწყო. ამას წინად ცნობა იყო. რომ ფიხრთი ფაშა ევროპის ასპარეზიდან 5 დივიზიით მცირე აზიაში გამოგზავნეს. ახლა როგორც ოფიციალი ცნობაა ცნობილი სარდალი მაკენზენი კავკასიის ასპარეზზე მოსულა და ერძინჯანის მიმართულებით შეტევა დაუწყია. ამრიგად მართლდება ის ხმა, რომ ოსმალონი ამ ზაფხულით აპირებენ დაკარგულ მიწა-წყლის დაბრუნებას და კავკასიის მიმართულებით ოპერაციების განახლებას.

## მსოფლიო ომი.

(პ. ლ. ს)

**დასავლეთის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 20 აპრილი. ოფიციალი. ჩვეულებრივი სროლაა, აგრეთვე სწარმოებს მზვერავ რაზმთა და მფრინავთა მოქმედება.

18 აპრილი ღამით. რუმინეთის ასპარეზი მტრის ქვეითა ჯარმა, რომელსაც ვაჩერებდით არტილერიის ცეცხლით იერიში მოიტანა მაღლობზე 15 ვერსის მანძილზე ოკნას სამხრეთ-დასავლეთით, რომელიც ჩვენ ჯარს ეჭირა ხელში. იერიში მოვიგერიეთ მოწინააღმდეგე უკუ ვაგდეთ. დანარჩენ ასპარეზზე სროლა სწარმოებს.

**კავკასიის ასპარეზი.**

ოსმალები ამაოდ შეეცადენ თავდასხმას გვინიჩხანის სამხრეთ დასავლეთით. ხანიკინის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა დაიპყრო კუნძული მდინარე დიალზე.

**შავი ზღვა.**

ჩვენმა ჰიდროპლანების რაზმმა გადაყარეს მახმუდიაში მდ. დუნაიზე 120 ყუმბა. ზარალი დიდია. მიუხედავათ იმისა, რომ მოწინააღმდეგე შრაპნელებს უშენდა, ჩვენი, მფრინავები უვნებელათ გადარჩენ. ჩვენი განმანადგურებელი მანქანებით ჩამოვაგდეთ გერმანელთ ჰაეროპლანი, რომელიც დაეცა გოროშნკის მიდამოებში; აპარატი დაიწვა, მფრინავები ტყვეთ წამოვიყვანეთ.

**დასავლეთის ასპარეზი.**

**პარიზი.** 20 აპრილი. არტილერიის ცხოველი მოქმედება სწარმოებდა გუშთან მდ. ცრნის ხეობაში.

მდინარე ცრნის ხეობაში გუმის მახლობლათ სწარმოებდა არტილერიის ცხოველი მოქმედება. იქ 18 აპრილს ღამით რუსის ჯარმა უკუაგდო მტრის მზვერავები.

მონასტირს კვლავ უშენენ.

**ლონდონი.** 19 აპრილი. ოფიციალი. არლეგფებილის ჩრდილოეთით დავამარცხეთ გერმანელების რაზმები. ჩამოვაგდეთ 10 აეროპლანი, ხოლო საგრძნობლად დავაზიანეთ 6. ჩვენ დავკარგეთ 4 აეროპლანი 19 აპრილს სულიმკომს თავს დაფრენდენ გერმანელების მფრინავები. ჩვენმა 2 მფრინავმა ტყვიისმფრქვეველთა საშუალებით დააზიანა მტრის აეროპლანები. დაზიანებული მფრინავები მიიმალენ. ჩვენი მფრინავები უვნებლად დაბრუნდენ.

**ლონდონი.** 19 აპრილი. ოფიციალი. სენკანტენსა და ლანსომის შუა მდებარე ადგილებში არტილერიის ენერგიული მოქმედებაა ორივე მხრიდან ფიკი-სარას მიდამოებში გერმანელების რაზმთა თავდასხმა მოვიგერიეთ. დანარჩენ ადგილებში საყურადღებო არაფერია.

**ბელგეთის ასპარეზი.**

**ჰავრი.** 17 აპრილი. ოფიციალი. არტილერიამ ორივე მხრიდან გამოიჩინა ენერგიული მოქმედება. დიუქსმიუდესა და დიზეროს მიდამოებში მოგვიხთა მტერთან შეტაკებები. ბრძოლა ხდებოდა ხე-

ლით სასროლი ყუმბარების საშუალებით.

ჭჯერი. 19 აპრილი. ოფიციალი. მთელს ბრძოლის ასპარეზზე საარტილერიო ბრძოლამ მიიღო განსაკუთრებული ინტენსიური ხასიათი.

იტალიის ასპარეზზე.

რომი. 19 აპრილი. ოფიალი. არტილერიამ გამოიჩინა ფრიად ენერგიული მოქმედება. აზიაგოსა და კარ...ის მთიან ადგილებში მტერი სცდილობდა ჩვენს თხრილებში შემოჭრას. ცდამ უნაყოფოდ ჩაიარათ. მფრინავებმა ორივე მხრივ გამოიჩინეს ინტენსიური მოქმედება.

მ ა კ ე დ ო ნ ი ა შ ი.

ლონდონი. 20 აპრილი. დაზვერვა კარგს პირობებში გვიხდება. დავანგრიეთ მტრის სამეთვალყურო ადგილი. გავფანტეთ მტრის მომუშავე რაზმები. ავაფეთქეთ ყუმბარების საწყობი.

მ ე ს ო პ ო ტ ა მ ი ა შ ი.

ლონდონი. 20 აპრილი. ოფიციალი. 18 აპრილს გენერალ მოდდორვის ხელმძღვანელობით იერიში მივიტანეთ ოსმალების კორპუსის წინააღმდეგ. კიფრის სამხრეთ დასავლეთით ოსმალები საბოლოოდ დავამარცხეთ. ოსმალებმა უკან დაიხიეს. წამოვიყვანეთ 359 ტყვე, მათ შორის 20 აფიცერი. ხელთ ვიგდეთ სამხედრო იარაღი, ტყვიის მფრქვეველები და მრავალი ტყვია.

ზ ღ ვ ა ზ ე.

ლონდონი. 19 აპრილი. ოფიციალი. ავსტრიის სატრანსპორტო გემი ავსტრიელების ჯარით დასძირა გერმანელების წყალქვეშამ: ჯარისკაცთა სიმამაცის წყალობით მსხვერპლი არაფერი ყოფილა.

აღმოსავლეთის ასპარეზზე.

პეტროგრადი. 21 აპრილი. ოფიციალი. კოველსონის მიმართულებით კუხარის მიდამოებში ყუმბარების მტყორცნელთა საშუალებით მტერი აწარმოებდა ინტენსიურ ბრძოლას.

კაბაროვცეს მიდამოებში მტერმა ააფეთქა ჩვენი თხრილები. აფეთქებას არავითარი ზარალი არ მოუყენებია ჩვენთვის.

რუმინეთის ასპარეზზე

21 აპრილი. ოფიციალი. ვოლშკიანის მიდამოებში ფოკშანის ჩრდილო-დასავლეთით 30 ვერსის მანძილზე ჩვენმა ჯარმა გაარღვია მტრის მავთულიანი ხლართები და შეიჭრა მოწინააღმდეგეთა თხრილებში. თხრილებში მტერი ამოსწყვიტეს. ფოლოკამიანიდან უკანდახეულმა გერმანელებმა თავი შეაფარეს კალმიმანის მიდამოებს. გერმანელები ერთხელ კიდევ შეეცადენ ჩვენი ჯარის ნაწილზე იერიში მოეტანათ, მაგრამ ამაოდ.

კავკასიის ასპარეზზე.

21 აპრილი. ოფიციალი. სროლა, დაზვერვა და მფრინავთა მოქმედება გრძელდება. ტუკუმას აღმოსავლეთით თოფის სროლით ჩამოვაგდეთ მტრის თვითმფრინავი. აპარატს ჩამოვარდნის დროს ცეცხლი გაუჩნდა. ზოტურცის მიდამოებში ჩვენმა არტილერიამ ჩამოაგდო მტრის თვითმფრინავი, რომელიც ჩამოვარდა ჩვენსა და მოწინააღმდეგის მავთულიან ხლართების შუა.

პარიზი. 20 აპრილი. ოფიციალი. ბრძოლის ასპარეზის ზოგიერთ სექტორებში ხდებოდა გაცხოველებული საარტილერიო ბრძოლა. მდ. ენთან გერმანელებს ძლიერად უშენდით არტილერიის საშვალებით. რეიმსის მიმართულებით ვენლა პნუას მიდამოებში ერთ ჩვენ მზვერავ რაზმთაგანი მიიჭრა გერმანელების ბრძოლის ხაზზე. წამოვიყვანეთ 40—მდი ტყვე. შამპანში დროგამოშვებით საარტილერიო სროლაა. ქვეითა ჯარის მოქმედება არ ყოფილა. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში დღემ წყნარად განვლო. 19 აპრილს დღის განმავლობაში ჩვენმა საჰაერო მებრძოლმა რაზმებმა გამოიჩინეს მეტად ენერგიული მოქმედება. საჰაერო ბრძოლის დროს ჩამოვაგდეთ გერმანელების 4 აპარატი; აგრეთვე გამოირკვა, რომ მეტად დაზიანდა გერმანელების 15 აეროპლანი. 17 აპრილს ჩვენმა საჰაერო რაზმაა გერმანელების ზურგით ძლიერათ დაუშინა სადგურსა, ტიონლილის ქარხნებს. 18 აპრილს დილით ჩვენმა მფრინავებმა ჩამოაგდეს 320 კილოგრამი ამ აფეთქებელ ნივთიერებისა სუასონის მიდამოებში. შემდეგ ღამით ჩვენ მფრინავთა მიერ ჩამოგდებულ იქნა 2000 კილოგრამი ამაფეთქებელ ნივთიერებისა, რამაც გამოიწვია ძლიერი ცეცხლის გაჩენა. 19 აპრილს დაუშინეთ სადგურ ბეტენკვილს პოფჩვერკში შატელ—სერენკტურთან, სადაც გაჩნდა ცეცხლი და მოყვა რამდენიმე ადგილში ძლიერი აფეთქებანი. ახლო აღმოსავლეთის მთელს ასპარეზზე ხოდებ და საარტილერიო ბრძოლები. დიდ—ბრიტანეთის მიდამოებში ჩამოვაგდეთ მტრის აეროპლანი.

ლონდონი. 20 აპრილი. ოფიციალი. ჰინდენბურგის მიმართულებით მდ. სანსისამხრეთით გზის მახლობლად გაცხოვებლებული ბრძოლა სწარმოებს. ჩვენმა ჯარმა წაიწია, და აიღო მტრის ფრიად გამაგრებული პოზიციები.

პარიზი. 19 აპრილი. ოფიციალი. ჩქარმა შეტევითმა მოქმედებამ საშუალება მოგვცა კორნილიეს მთის დასავლეთით წინ წავეწია. მფრინავების მოქმედება ნაყოფიერი გამოდგა. ჩამოვყარეთ მრავალი ყუმბარა. გავაჩინეთ ძლიერი ცეცხლი ჩამოვაგდეთ 3 გერმანელების აპარატი, 10 აპარატი კი, საგრძნობლად დავაზიანეთ

# რევოლიუციის ამბები.

(პ. ღ. ს.)

1 მაისის შიში ფინეთში.

ჰელსინგფორსი. 19 აპრილი. ქალაქში სრული სიწყნარე დამდგარა.

ბნელი ძალების მიერ გავრცელებულ ხმებით გამოწვეული შიში, თითქო 1 მაისს უნდა მომხდარიყო ელეტა ინტელიგენციისა და ოფიცერთა, დასცხრა. ორივე დღე მშვიდობიანად ჩატარდა. ამიტომ სამხედრო დაცვა მოხსნეს ტელეფონსა, ტელეგრაფსა, წყალსადენსა და ელექტრონის სადგურზე, რომელიც წინა დღით დააწესეს.

ბეილისის ბრალდების გამოძიება.

ჟიტომირი. 19 აპრილი. გამომძიებელი კომისია ბეილისის საქმის მასალების განხილვასთან ერთად შეუდგა იმ პირობების გამორკვევას, რომელშიდაც საბრალმდებლო აქტზე ხელი მოაწერა ჟიტომირის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე რაზვადოვსკიმ. გამოირკვა, რომ რაზვადოვსკის ბეილისის საბრალმდებლო აქტზე ხელის მოწერა კენჭის ყრით შეხვედრია. გამოძიება გრძელდება.

საგუბერნიო ერობის ცნობებით ზამთარში დათესილს პურს კარგი პირი უჩანს. ხოლო საზაფხულო პურის დათესვამ სამი კვირით დაიგვიანა. საქმეს მუშა ხელისა და თესლეულობის ნაკლებობა აფერხებს. სამინისტროსთან შუამდგომლობაა აღძრული ვოლინში საზაფხულო სამუშაოდ 5000 უცხო ეროვნების პირთა გამოგზავნის შესახებ.

ბრძანება.

პეტროგრადი. 19 აპრილი. სამხრეთ-დასავლეთის ასპარეზის ჯარებს 17 აპრილიდან 1917 წლ. რწმუნებულ ჩემ ასპარეზის ერთ-ერთ ჯარში შეიპყრეს მტრის დელეგატები, რომელნიც ვითომდა საზავო მოსალაპარაკებლად იყვენ გამოგზავნილი.

როდესაც მათ შტაბში ჩამოართვეს ჩვენება, დელეგატებმა სთქვეს, რომ მათ დავალებული ჰქონდათ უფროსებისაგან 1) დეტალურად დაეთვალიერებიათ ჩვენი სიმაგრეები, 2) გაეგოთ ტყვიისმფრქვეველებისა და ზარბაზნების ადგილ-მდებარეობა, 3) გაეგოთ ჩვენი ჯარის ნაწილების ნომრები და აფიცრების და სალდათების სულიერი განწყობილება და სხვა.

დელეგატებს თან ჰქონდათ ფოტოგრაფიული აპარატები, რომლების საშუალებით მათ უნდოდათ შეეკრიბათ უფრო სწორი ცნობები ჩვენი სიმაგრეების შესახებ.

როგორც ერთ ავსტრიელ დელეკატის სიტყვებიდან სჩანს, მათ უკვე მოუხერხებიათ პროჟექტორის საშუალებით ადგილის გადახატვა.

ამ შემთხვევიდან ნათლად სჩანს, როგორ სარგებლობს ჩვენი მტერი ჩვენი ჯარის შერყეულ დისციპლინით და რუსეთის ჯარისკაცის გადაჭარბებულიც ნდობით. კეთილგანწყობილებისა და გულწრფელობის გრძნობა ჩვენი ჯარისკაცისა საშუალებას აძლევს მტერს დაჰფაროს თავისი პროვოკატორული მოქმედება, რომელსაც ჩვენი ჯარი ვერ ხედავს და რომელსაც შეუძლია მოგვაყენოს ჩვენ დიდი ზიანი. მე დარწმუნებული ვარ, რომ თვითოეული ჩვენთაგანი შეიგნებს ზარალს, რომელსაც მოუტანს ჩვენს ძვირფასს სამშობლოს ასეთი მოპყრობა მტრისადმი.

მტრის ასეთს ცდას ყოველთვის ერთი პასუხი უნდა გასცეთ, პასუხი ტყვიისა და ხიშტისა წინადადებას გაძლევთ აუხსნათ ჯარისკაცებს ფარული მნიშვნელობა ასეთი ძმობისა. ჩემი ბრძანება წაკითხულ უნდა იქნას ყველა როტებში, ესკადრონებში, ბატარეებში.

კავალერიის გენერალი ბრუსილოვი.

გაზეთების მიუღებლობა

კოპენჰაგენი. 16 აპრილი. მესამე დღეა გერმანეთიდან გაზეთები არ მოსულა.

ახალი მთავრობის ნოტის შედეგი.

პეტროგრადი. 20 აპრილი. დროებითი მთავრობის ნოტამ ჯარის ზოგიერთ ნაწილში გამოიწვია უკმაყოფილება. დღეს ფინეთის პოლკი მოვიდა მარინეს სასახლეში. დროშებზე წარწერა იყო, სადაც იმპერიალისტურ პოლიტიკის უარყოფასა და გუჩკოვისა და მილიუკოვის გადაყენებას მოითხოვდენ. ფინეთის პოლკის გარდა სხვა ნაწილიც მოდიოდა. მოვიდა აგრეთვე მოსკოვის პოლკი. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა ზომები მიიღო ჯარის დასაშოშმინებლად და ყაზარმებში დასაბრუნებლად. კომიტეტმაც საჭიროდ სცნო მთავრობის ნოტაზე თვისი მსჯავრის დადება. ნოტამ მუშებიც ააღელვა. დღისით ქუჩებზე მანიფესტაციები და მიტინგები იმართებოდა. და ქონდათ პლაკატები ასეთის წარწერით: ძირს მთავრობა. მილიუკოვი და გუჩკოვი. მაგრამ მანიფესტაციები ისეთ პირთაც მოეწყოთ რომელნიც ახალ მთავრობას თანაუგრძნობდენ.

გემების სახელების შეცვლა.

გემს „იმპერატორ ალექსანდრე მესამე“-ს სახელი „თავისუფლებად“ შეუცვალეს. „იმპერატორ ნიკოლოზ პირველს“ დაარქვეს „დემოკრატია,“ „იმპერატორ პავლე პირველს“ „რესპუბლიკა“ „იმპერატორ ქალს ეკატერინე ს“ „თავისუფალი რუსეთი.“ 27 გუბერნიის საგლეხო ორგანიზაციათა, ჯარისა და სრულიად რუსეთის საგლეხო კავშირის მთავარი ორგანიზაციულისა და პეტროგრადის საოლქო კომიტეტის წარმომადგენლებმა აუცილებელ საჭიროებად სცნეს სრულიად რუსეთის გლეხთა დეპუტატების საბჭოს საჩქაროდ შექმნა. დეპუტატთა ყრილობა 1 მაისისთვისაა დანიშნული. მაგრამ არჩეულ დეპუტატებს უფრო გვიანაც შეუძლიათ მოსვლა. საბჭოში ჯარსაც ადგილის საკმაო რიცხვი ექნება. თითო როტიდან, ესკადრონიდან თუ ბატარეიდან ერთი კაცი აირჩევა ხოლო ყველა ერთად რომ მოიყრის თავს, ირჩევენ მერე ხსენებულ ინსტრუქციით დეპუტატს.

განათლების მინისტრის განკარგულებანი.

განათლების მინისტრმა გააუქმა ძველ ცირკულიარულ განკარგულებათა მთელი რიგი, რომელიც სრულიად არ შეეფერებოდა ახალ სახელმწიფოებრივ ცხოვრების პირობებს. მისი განკარგულებით სასწავლებლებს უნდა ჩამოაშორონ არა სასურველი მასწავლებლები, მოსამსახურე პირთ უფლება აქვთ პოლიტიკურ პარტიათა წევრებათ ირიცხებოდენ, ებრაელებს დაუბრკოლებლივ მიიღებენ საშუალო სასწავლებლებში, საშუალო სასწავლებლის მოწაფეთ ნება აქვთ დაესწრონ საეროობო კრებებსა და სასამართლოს კრებებს. შეუძლიათ პირადათ მიმართონ ოლქის მზრუნველებსა თუ ჩამინისტროს, მოითხოვონ სახელმძღვანელოთა გამოკვლა არა ქრისტიანი ქალებიც და ვაჟებიც მიიღებენ მასწავლებლის მოწმობას. მასწავლებლათ მიიღებენ გუბერნატორებთან დამოკიდებულების გარეშე.

გზათა სამინისტროს განმარტება.

პეტროგრადი. 19 აპრილი. გზათა სამინისტრომ ყველგან დააგზავნა განმარტების დეპეშები: გზებზე სამსახურის პირთა დანიშვნისას არჩევნის წესის შემოღება შეუძლებელია ვიდრე დამფუძნებელი კრება რკინის გზათა მართველობის მთელს წესწყობილებას არ შესცვლის. არსებული კანონები უფლებრივსა და ქონებრივს პასუხისმგებლობას უფროსებს აკისრებს ხოლო მოვალეობისაგან ისინი რევოლუციას არ გაუნთავისუფლებია. ამიტომ თუ უფროსებს უფლება არ ექნებათ თავისთვის თანამშრომლების პირადათ არჩევისა, ეს. სა ერთო საქმეს ვნების მეტს არას მოუტანს. ამავე მინისტრმა დეპეშები დაუგზავნა სამხედრო მინისტრსა და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს სახალხო მატარებლების მოძრაობის არევის შესახებ და მოითხოვა საგანგებო ზომების მიღება სარკინისგზო წესების დასამყარებლად საჭიროა ამ საქმეში სამხედრო ნაწილებიც დავიხმაროთო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განმარტება.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გუბერნიის კომისარებს შემდეგნაირი განმარტება დაუგზავნა: მოსამსახურე პირთა დათხოვნა მხოლოდ მინისტრს შეუძლია. აუცილებელ შემთხვევის დროს მათ კომისარები აყენებენ ადგილიდან, მაგრამ ამავე დროს უნდა წარუდგინოთ მინისტრს თავის საქციელის საბუთი. გუბერნიის მთავრობის მიერ დანიშნულ თანამდებობის პირნი უნდა გადააყენონ თხოვნის მიხედვით ან დროებით დასტოვონ ისინი ძველ თანამდებობაზე.

გამოძახილი დროებითი მთავრობის ნოტაზე.

პეტროგრადი. 20 აპრილი. მარინეს სასახლის წინ მოედანზე 15.000 ჯარისკაცმა მოიყარა თავი. მთავრობის არც ერთი წევრთაგანი არ ყოფილა ამ დროს სასახლეში. დემონსტრაციის-ადგილას მალე მოვიდენ ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრები, რომელნიც საგანგებო დელეგაციის საშუალებით გაეცვნენ სასახლის წინ თავმოყრილ ჯარის სულიერ განწყობილებასა და მოთხოვნილებებს. მოვიდა აგრეთვე აღმასრულებელ კომიტეტის წევრი და თავმჯდომარის ამხანაგი სკობელევი. სკობელევმა ჯარს მიმართა:

სალამს ვუძღვნი დარაზმულ რევოლუციურ ჯარს, რომელიც თვის გრძნობების გამოსათქმელად მოსულა. ნოტის კითხვაზე აღმასრულებელი კომიტეტი მუშაობს ჯარმა მშვიდობიანად უნდა დაუცადოს თვის წარმომადგენელთა გადაწყვეტილებას. ისინი კი ანგარიშს გაუწევენ იმ სულიერ განწყობილებასა და გრძნობებს, რომელნიც დღეს გამოითქვა მოედანზე თავმოყრილ ჯარის მიერ. შემდეგ ილაპარაკა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტ. საბჭოს აღმასრ. კომიტეტის წევრმა გოცმა. რუსეთის დემოკრატიას არა სურს დამპყრობელი პოლიტიკა და ანექსიები, მას არ უნდა რომელიმე ერის დამონება რუსეთის ჯარი ყოველთვის მზად უნდა იყოს თავისუფლების დასაცავად და შინაურ თუ გარეშე მტრებთან საბრძოლველად. მთავარი ჩვენი მტრის სახელია „შუღლი და უთანხმოება“. ამას უნდა ვებრძოლოთ ვიდრე შეგვეძლება. სკობელევისა და გოცის სიტყვები ჯარმა „ურას·“ ძახილით დაფარა. შემდეგ ილაპარაკა ჰელსინგფორსიდან ჩამოსულმა მეზღვაურთა ყრილობის დელეგატმა. მან წინადადება მისცა ჯარს მილიუკოვი დავიწუნოთ და მისი გადაყენება მოვითხოვოთო. დასასრულ ტრიბუნაზე ავიდა პეტროგრადის ოლქის ჯარის უფროსი გენერალი კორნილოვი. ის არ შეხებია ნოტას, მხოლოდ სთქვა საჭიროა აკაცრი დისციპლინაო. თქვენ რომ საინტერესო კითხვებზე ვერ შედავდით ხმის ამოღების ის დრო გაჰქრა.

თქვენ შეიარაღებული ხალხის სახე ხართ. ამაშია თქვენი ძლიერებაცა და სისუსტეც.

დღის მეორე ნახევრის განმავლობაში ურიცხვი მანიფესტაციები გაიმართა. დროებით მთავრობის დასაცავად მარინეს სასახლის წინ ურიცხვ ხალხის წინაშე სიტყვები წარმოსთქვეს სხვათა შორის შინგარევმა, მილიუკოვმა და სახ. სათ. თავმჯდომარე როძიანკომ. მილიუკოვმა სთქვა შტიურმერის ღალატის მამხილებელი მილიუკოვი არასოდეს თვით არ იქნება მოღალატე მკვდარი ვიქნები თუ ცოცხალი მე არ გავცემ ჩემს ქვეყანას. მე არ დავტოვებ ჩემს ადგილს და მხოლოდ ძალადობას დავემორჩილებიო. მისი სიტყვა ხანგრძლივი „ურათი“ დაფარეს. როძიანკომ ილაპარაკა თავისუფალ სამშობლოსთვის საფრთხილო მტრის შესახებ. ხალხს მოუწოდა ვიდრე გამარჯვებამდეო.

ჩვენი გამარჯვება რუსის დიდი ერის ღირსი უნდა იყოსო. ყველას სიტყვას ხალხი ალტაცებით ხვდება.

ხმები.

როგორც ხმები დადის ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭო კოალიციური კაბინეტის შექმნისაკენ იხრება.

# უ ც ხ ო ე თ ი.

(პ. ღ. ს.)

ა მ ე რ ი კ ა შ ი.

ვაშინგტონი· 18 აპრილი. ევროპის ნეიტრალი სახელმწიფოები ამერიკაში ჰგზავნიან სპეციალ დელეგაციებს ევროპისთვის სანოვაგის მიწოდების თაობაზე მოსალაპარაკებლად. სჯერათ შტატების მთავრობაზე გავლენას ვიქონიებთ ჰუმანიტარულ მოსაზრებებითო. ამერიკა ბლოკადის გამოცხადების გზას ადგება ომის საჩქაროდ გასათავებლად. დადგენილება ხმისი ასეთია: გამოუცხადოს ნეიტრალ სახელმწიფოებს შესწყვიტონ სურსათის გატანა გერმანეთში, წინააღმდეგ შემთხვევაში ამერიკა არაფერს მიაწოდებს ამ ნეიტრალ სახელმწიფოებს.

სენატმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომლითაც პრეზიდენტს უფლება აქვს მტერს ყველა გემები ჩამოართვას, რომელნიც კი შტატების ნავთსადგურებშია შეხიზნული.

კუბიდან ჩამოვიდა გენერალი ბარონის მეთაურობით სპეციალი კომისია კუბის სამხედრო ზომების შტატების ზომებთან შესათანხმებლად.

ჩინეთის ელჩის წასვლა.

სტოკჰოლმი. 19 აპრილი. ბერლინიდან იტყობინებიან: ბერლინში ჩინეთის ელჩი დოკტორი იენი 18 აპრილს მთელი საელჩოს შემადგენლობით გერმანეთიდან კოპენჰაგენს გაემგზავრა. გერმანეში დარჩა მხოლოდ 40 ჩინელი სტუდენტი.

# ახალი ამბავი

როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში არსებული მასწავლებელთა კომისია ამ მოკლე ხანში დაამთავრებს და საბეჭდათ გადასცემს ქართულ ენაზე შედგენილ სახელმძღვანელოებს პროგიმნაზიული კლასებისათვის.

✦ რუსეთიდან მოსული პირების სიტყვებით მდინარე დონი საშინლად მოზღვავებულა და რასტოვსა და აზოვს შუა გაყვანილი ხიდი ჩაუნგრევია, რის გამოც მიმოსვლა თითქმის სავსებით შეწყეტილა. აზოვსა და როსტოვს შუა ხომალდით შეიძლება მხოლოდ მოგზაურობა. ამის მიზეზია, რომ არც ფოსტა და არც სატახტო გაზეთები რუსეთიდან აღარ მიგვიდია.

✦ დ. ჩხარი 1 მაისობა აქ დიდის ამბით იდღესასწაულეს. წარმოითქვა მრავალი, მომენტის შესაფერი, სიტყვა. ხალხი ვერ ასცდა პარტიულ განხეთქილებას, ლაპარაკის უფლება ყველა პარტიის წარმომადგენელს არ მისცეს.

✦ ქუთაისის აღმასრულებელ კომიტეტს ქართველმა ისრაელებმა ძმებმა იაკობიშვილებმა 500 მანეთი შესწირეს.

✦ 22 აპრილს ქუთაისის აღმასრულებელ კომიტეტის სასურსათო კომიტეტის განყოფილებამ მიიღო 5 ვაგონი სანოვაგე (ფქვილი, შაქარი, ბრინჯი და სხვა).

✦ სოფ. სიქთარუა (ზემო იმერეთი). ადგილობრივ მცხოვრებს პლ. შოთაძეს აღმოუჩინეს ნაპარავი ცხენები. ზესტაფონის აღმასრულებელმა კომიტეტმა შოთაძე დააპატიმრა და ცხენები ჩამოართვა.

✦ ახალი გაზეთი. პირველ მაისიდან ქ. ქუთაისში გამოვა ახალი ხალხოსნური ყოველ დღიური გაზეთი „განახლება“ ცნობილ მწერლის იაკობ ცინცაძის (იაეკალაძის) რედაქტორობით. პირველ ნომრიდანვე გაზეთში დაიწყება ბეჭვდა წერილებისა, რომლებშიაც მეცნიერულისა და ხალხოსნურის თვალსაზრისით განხილული იქნება საქართველოში არსებულ ყველა პარტიების პროგრამა.

✦ მისაბაძი მაგალითი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელის ექიმმა ალექსანდრე გრიგოლისძე დევიძემ თავისი მთელი აპრილის ჯამაგირი 39 მან. 20 კაპ. ბაგრატის ციხის აღსადგენად დაარსებულ კომიტეტს გადასცა.

✦ სამშაბათს, 25 აპრილს, ქალაქის თეატრში გაიმართება ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო „ისტორიის მეცნიერული გაგება“ —წაიკითხავს ვს. კაპანაძე. ლიტერატურულ განყოფილებაში მონაწილეობის მიიღებენ: მ. ბოჭორიშვილი, ნ. მიწიშვილი, ს. წეველი და სხვანი. დასასრულ წაკითხულ იქნება გურული სცენები. დაწვრილებით განცხადებაში.

# ეროვნული კითხვა.

სომხები

30 აპრილს ქ. ბაქოში მოხდება სომეხ სტუდენტთა ეროვნული კონფერენცია, კონფერენციამ უნდა შეიმუშაოს ის მოთხოვნილებანი, რომელსაც კავკასიის სომხობა დამფუძნებელ კრებას წარუდგენს.

მაჰმადიანები.

სრულიად რუსეთის მაჰმადიანთა ყრილობას რომელიც ქ. მოსკოვში იწყება ჯერჯერობით 500 დელეგატი მოაწყდა. ყრილობამ უნდა განიხილოს: რუსეთის მაჰმადიანთა საერთო პოლიტიკური და ერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოვნული მიზნები.

— ბაქოში „ისმაილიაში“ს სასახლეში სწარმოებს მაჰმადიანთა ეროვნული ყრილობა. ყრილობას დიდი სიცოცხლე ეტყობა როგორც გაზ. „აჩიქსოზი“ აღნიშნავს ასეთი კრება ერთმანეთ შორის აზრთა გაცვლა გამოცვლა კავკასიის და რუსეთის მაჰმადიანობისთვის პირველია.

# თურქთა პრესა.

15 აპრილს ქ. ბაქოში გაიხსნა მაჰმადიანთა ყრილობა. ყრილობის შესახებ გაზ. ,,აჩიგ სოზი'' სწერს:

„ყრილობა გარდა იმისა, რომ დაგვიხატავს კავკასიის მაჰმადიანთა მდგომარეობას და სულიერ განწყობილებას, მან აგრეთვე უნდა იკისროს ჩვენი ეროვნულ-პოლიტიკურ საჭიროებათა მოთხოვნა. თქმა არ უნდა მაჰმადიანთა ყრილობას თავის დეფექტები ექნება, მაგრამ ყრილობას ეს ხელს ვერ შეუშლის, რომ მან დაბეჯითებით წამოაყენოს კავკასიის მაჰმადიანთა ეროვნულ-პოლიტიკური კითხვა. ჩვენ დრმად გვწამს, რომ „ისმაილის“ დარბაზში წარმოთქმული პირველი სიტყვები ეროვნულ ზავის გამომხატველი იქნება. ამ თვალთახედვით ყრილობას დიდი მნიშვნელობა ეძლევა. ყრილობის მიერ გამოტანილი რეზოლიუცია სრულიად კავკასიის მაჰმადიანთა მოთხოვნილების გამომხატველი იქნება“-ო.

სალამს უძღვნით კავკასიის მაჰმადიანთა ყრილობას და ვუსურვებთ, რომ მან შესძლოს თავის ეროვნულ პოლიტიკურ მიზნებისათვის ისეთი სალი გზით მუშაობა, რომ კავკასიის ერთა შორის ძმური განწყობილება არ დაირღვეს და არც სახელმწიფოში ახალ წესწყობილების დამყარებას შეეშალოს ხელი.

# როგორ დაითხოვეს ახალციხის გიმნაზიის დირექტორი კორიცკი.

მას მერე რაც გამოცხადდა ძველი მთავრობის დამხობა, კორიცკი ძლიერ ცუდ გუნებაზე დადგა. დაღვრემილი დაეხეტებოდა გიმნაზიის დერეფნებში; როგორც მასწავლებლებთან, აგრეთვე მოწაფეებთან სრულიად დაეკარგა, კავშირი რაღაც მეტ ხორცად გადიქცა გიმნაზიის ცხოვრებაში. ყოველი ინიციატივა გიმნაზიის საქმეებში ხელიდან გაუშვა. ამას მიყვა თითქმის სრული დეზორგანიზაცია სკოლისა. დირექტორი ხომ გიმნაზიის თვითმპყრობელი იყო ძველი დროის და ადვილი წარმოსადგენია ის განწყობილება, რომელიც გამეფთა კორიცკის უმოქმედობის გამო. პედაგოგიური საბჭო 7 მარტიდან არც ერთხელ არ შეკრებილა, თუმცაღა განსახილველი საქმე ბევრი იყო. მოწაფეები იკრიბებოდენ პედაგოგიური კორპორაციის უცოდინარად და გამოჰქონდათ საიდუმლოდ თავისი რეზოლიუციები. ეს კი შეიქმნა მიზეზი აუცილებელი უთანხმოებისა მასწავლებელთა და მოწაფეების მოქმედებათა შორის. აი ერთი მაგალითი ასეთ უთანხმოებისა, რომელიც უქადიდა გიმნაზიას სრულ ანარქიას. ?. კორიცკის განკარგულებით 24 მარტს მოწაფეები უნდა დაეთხოვათ სააღდგომოდ მეხუთე გაკვეთილის შემდეგ. მოწაფეებს კი თავის მხრივ გადაუწყვეტიათ დაშლილიყვენ მეორე გაკვეთილის შემდეგ რადგანაც ბ. კორიცკი, როგორც დირექტორი, იყო ოფიციალი წარმომადგენელი პედაგოგიური კორპორაციისა. ასეთი გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა გამოიწვევდა აუცილებელ კონფლიქტის მასწავლებელთა და მოწაფეთა შორის. რამოდენიმე მასწავლებლის ენერგიის და გავლენის მეოხებით ეს კონფლიქტი აუცილებელი იქმნა. მოწაფეებმა დასთმეს თავისი გადაწყვეტილება და დაემორჩილენ პედაგოგიური საბჭოს დადგენილებას ამ მასწავლებელთა თხოვნის მიხედვით.

ასეთი და კიდევ უარესი კონფლიქტი ყოველთვის მოსალოდნელი იყო თუ გიმნაზიის სათავეში დარჩებოდა ბ. კორიცკი. მაგალითად, მოწაფეებს, მასწავლებელთა ნება დაურთველად გადაეწყვიტათ უკვე 15 აპრილის მეცადინობის შეწყვეტა საზაფხულოდ. ამან აიძულა მასწავლებელთა კორპორაცია მიეღო რაიმე ენერგიული ზომები ანარქიის ასაცილებლად. და რაკი მიზეზი ანარქიისა იყო კორიცკი, პედაგოგების კორპორაციამ მიმართა მას წერილით, რომელშიც გამოუცხადა მას სრული უნდობლობა, როგორც გიმნაზიის ხელმძღვანელს, და მოსთხოვა მას თავისი ნებით სამსახურის დატოვება. იმის მაგივრად რომ დამორჩილებოდა მასწავლებლების რეზოლიუციას, ბ. კორიცკიმ მიმართა საჩივრით ახალციხის აღმასრულებელ კომიტეტს. ალბად ფიქრობდა, ეპოვნა აქ შემწეობა. და მართლაც იმედი კინაღამ გაუმართლდა. მასწავლებელთა მოქმედება მის წინააღმდეგ, ბ. კორიცკიმ აუხსნა აღმასრულებელ კომიტეტს, როდესაც უმრავლესობა სომხებია, როგორც ქართველების ინტრიგა, რომლის სათავე ქუთაისშია დამარხული. მაგრამ ხრიკმა ვერ უშველა ბ. კორიცკის. და აღმასრულებელმა კომიტეტმა დაითხოვა ის თანამდებობიდან. მეორე დღეს მოხდა პედაგოგიური საბჭოს კრება, რომელზედაც საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს სერგი დანელია და დაავალეს მას დირექტორის თანამდებობის ასრულება. საბჭომ გაუგზავნა ტელეგრამა კიტა აბაშიძეს და სთხოვა მას, დანელიას დამტკიცება. ჯერ დამტკიცება არა სჩანს, მაგრამ მიუხედავად ამისა გიმნაზიის ცხოვრება კორიცკის დათხოვნის შემდეგ შევიდა თავის ნორმალურ კალაპოტში.

Iguotnz

# მოწერილი ამბები

მუსა ბეკის ქურთები.

ბრძოლის ველიდან.

ოსმალეთში და სპარსეთში ბლომათ მოიპოვება ველური ქურთის ხალხი, რომლის უმგვანო საქციელი არამც თუ ჩვენთვის, ხშირათ თვისი მთავრობისათვისაც აუტანელი ხდება! ბევრჯერ გამიგონნია, ოსმალეთის მთავრობა მშვიდობიანობის დროსაც იარაღით დაიარება და ისე ჰკრებს სახელმწიფო გადასახადსო. ქურთები არ ემორჩილებიან არავითარ კანონს თუ ბრძანებასო!. დღევანდელ ომშიაც მათ თვისი ყაჩაღური მოღვაწეობით ჩაოქვთ თავი; თუ ჩაიგდეს მარტოხელა კაცი, მაშინვე ყელს გამოსჭრიან, ტანსაცმელს გააძრობენ, რადგან თვით არა გააჩნიათ რა და მიიმალვიან. თუ საკმაო ძალა დაინახეს, იარაღს მიწაში მარხვენ, და მშვიდობიან მცხოვრებლებათ მოაქვთ თავი. უფრო გაწვრთნილ ქურთებს ოსმალეთში მუსა-ბეკის ქურთები შეადგენენ. უკანასკნელნი, ცოტათ თუ ბევრათ, ემორჩილებიან სათანადო მთავრობას, თუმცა საზიზღრობით ხსენებულ, პარტიზანულად მებრძოლ თავისუფალ ქურთებს, არაფრით ჩამორჩებიან. თვით ბელადის მუსა ბეკის ვინაობას ასე აგვიწერენ: მუსამ თვისი ყაჩაღური მოქმედებით საკმაო ქონება შეიძინა მუშის ჰალაზე რამდენიმე სოფელი მას ეკუთვნოდა. მადნეულების საძებრათ მოსულ ევროპიელ ინჟენრებს ავაზაკურათ თავს ესხმოდა, თავს სჭრიდა და სძარცვავდაო. ავკაცობისათვის ოსმალეთის სულთანს, მუსა თორმეტი წელიწადი ჰყავდა სტამბოლის საპყრობილეში ჩამწყვდეულიო. ომის გამოცხადებისას განთავისუფლებულმა მუსა ბეკმა მრავალი მოხალისე ქურთი შემოიკრიბა თვის ჯარშემო, დაამარცხა მეორე მთავარი მუსა-ალა, რომელმაც არ ინება რუსეთთან ბრძოლა, მისი რაზმიც შეიერთა და შეერთებულ ბრბოთი იწყო მოქმედებაო. მუსა-ბეკს ოთხი ცოლი ჰყავს; ერთი ევროპაში —უმაღლეს სასწავლებელში განათლებული სომხის ქალიო, უკანასკნელი, ევროპიდან ჩამოსვლისთანავე მოუტაცნია ვეროვს მშობლებისათვის. მუსა ბეკის რაზმს უმეტესათ სოფლებში მცხოვრები შეიარაღებული ქურთები შეადგენენ, რომლებიც თითქმის თვით იღწვიან თვისი საზრდოსათვის. საჭიროების დროს მოუწოდებს მათ და ცდილობს ოსმალეთის დაძაბუნებულ მხედრობასთან ერთად ზიანი მოგვაყენოს, მაგრამ საბედნიეროთ მის შრომას უფრო ყაჩაღური ელფერი სდევს, რადგან გაბედულ სისტემატიურ მოქმედების ძალა არ შესწევს.

იოლა

პატივისცემით პრაპ. ი. მაისურაძე
ოსმალეთის ფრონტი მზვერავთა რაზმი.

# სმა ქართველი მღვდლისა.

საქართველოს ბევრი უბედურება გადაუტანია, ბევრი მწარე დღეები უნახავს. ქართველ ერს ამ მწუხარების ჟამს ყოველთვის გვერდში თავის მოძღვარი უდგა და მოვლენილ უბედურებას უქარვებდა, ასე იყო მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდის. ამ საუკუნის დასაწყისიდან ქართველი მღვდელი გზას ასცდა, ქართველ ერს დაშორდა და განკერძოებითი ცხოვრება იწყო. მღვდლობის მოვალეობა მას მხოლოდ სახელით შერჩა. ასეთი მდგომარეობა ქართველ მღვდელსა და ერს შორის დიდხანს გაგრძელდებოდა, რომ ცხრაას ხუთის და ექვსი წლის მოძრაობას სულზე არ მოესწრო და როგორც ერი ისე მღვდელი არ გამოეღვიძებია. გამოღვიძებულმა სამღვდელოებამ ნათლად დაინახა ის უკუღმართი გზა, რომელიც მას უფსკრულისაკენ მიაქანებდა და თავის გამორკვევას შეუდგა. თვითგამორკვევისათვის ქართველ სამღვდელოებას დიდი დრო არ დასჭირვებია, რადგანაც ის საკითხი, რომელიც მის წინ მოძრაობამ აღმართა უკვე დიდიხნის მომწიფებული იყო. ქართველი სამღვდელოების საუკეთესო ნაწილმა ძველ დესპოტიურ მთავრობას მოთხოვნა წარუდგინა. ეს მოთხოვნა საქართველოს ეკლესიის რუსეთის ეკლესიისაგან ჩამოშორებაში გამოხატა. ძველმა დახავსებულმა მთავრობას ამ კანონიერ მოთხოვნას დიდი წინააღმდეგობა გაუწია, თუმცა სიტყვით ყოველთვის მისი შესრულების შესაძლებლობას აღვიარებდა. ასეთ ორპოვნობას მთავრობისას დიდებულმა რუსეთის რევოლიუციამ სამძღვარი დაუდო. ამ წლის 12 მარტს აღსრულდა ის, რისთვისაც ანტონ მეორე და წამებულნი განათელი და ქუთათელნი დაიღუპნენ ჩვენმა გმირმა ეპისკოპოზებმა ლეონიდმა და კირიონმა დევნა-წვალება განიცადეს. მაგრამ დახეთ ჩვენს უბედურებას, 12 მარტს ჩვენი ეკლესიის აღვიარებული თავისუფლება სრული არ გამოდგა. მას ფრთები შეაკვეცეს და ისე გადმოგვიგდეს. ამ ფრთების შეკვეცაში წილი ერთ წამებულ მღვდელმთავარსაც უდევს. ეს გარემოება დიდათ აშფოთებს შეგნებულ ქართველ სამღვდელოებას. თავისუფლება ჩვენი მრავალ წამებული ეკლესიისა უსათუოდ უნდა იყოს სრული. ავტონომიურ საქართველოში ყოვლად შეუძლებელია არა ტერიტორიული ავტოკეფალური ქართული ეკ. იყოს, ეს დამახინჯებაა ჭეშმარიტებისა. არა, ამის ჩვენ ვერ მოვითმენთ. ვინც ასეთ განაჩენს ხელი მოაწერა, ის პასუხს აგებს საქართველოს მორწმუნე შვილთა წინაშე.

მ, ბუაჩიძე.

# რუსეთი.

**სასახლე დამფუძნებელ კრებისთვის.**

დეპ. ნოვიკოვმა განაცხადა, რომ პეტროგრადში არ მოიპოვება ისეთი შენობა, რომელიც გამოდგებოდეს დამფუძნებელ კრების სადგომად. ნოვიკოვის აზრით უპირატესობა მოსკოვს უნდა ხვდეს, რადგან ამ ჟამად იქ შენდება ვებერთელა საკრებულო გლეხთა განთავისუფლების (1861 წ.) აღსანიშნავად. ხსენებული საკრებულო დაიტევს 7000 მდე კაცსო.

**ძეგლის დანგრევა.**

ქ. კორსუნში (ციმბირი) გლეხებმა გაანადგურეს მეფე ალექსანდრე მეორეს ძეგლი, იმ მოსაზრებით, რომ მან გლეხთ მისცა თავისუფლება, მაგრამ სამაგიეროდ მიწის საქმე არ მოაწესრიგა და ღარიბ გლეხებს მილიონები გადაახდევინა.

**ისტორიულ მუზეუმისთვის.**

დეპ. ალექსანდროვმა აღნიშნა, რომ ხალხი ამ უკანასკნელ დროს ნაკლებ ყურადღებას აქცევს ისტორიულ მუზეუმის გამდიდრებას და ძვირფას სალაროს არაფერს ჰმატებს. ალექსანდროვი მოითხოვს. ეკატერინოსლავში და ოდესაში გაუქმებული იმპერატორ ქალის ეკატერინეს ძეგლები ყუმბარებად კი არ უნდა გადადნეს, არამედ გადაეცეს სახელმწიფოს ისტორიულ საგანძურთა სალაროს.

**ძარცვა გლეჯა.**

ქ. მოსკოვში მეტად გახშირდა მძარცველობა და ყალბ საბუთებით ფულის მიღება. გაძარცვეს კომერციული ბანკი, საიდანაც წაიღეს სამასი ათასი მანეთი. ამავე დროს სასაფლაოებიდან გაიტაცეს ძვირფასი სამკაულები. აიკლეს ამხანაგობა „პეკარი“; ფულად წაღებულია ორასი ათასი მანეთი.

**შჩეგლოვიტოვი.**

ამ დღეებში სამართლის მინისტრად ყოფილ შჩეგლოვიტოვს წარუდგინეს ბრალდების ქაღალდი. შჩეგლოვიტოვს სხვათა შორის ბრალდება პირველ სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დროს ძალადობის ხმარება და რამდენიმე ხალხის წარმომადგენლის უსამართლოდ გაციმბირება.

# წერილი რედაქციის მიმართ

ბ ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ამ ორიოდე სიტყვას ადგილი დაუთმოთ თქვენ გაზეთში.

გაზ. „სამშობლოს“ 22 მარტის № 577 ში სწერია: „დ. ბელაგორი. თანახმად ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტის დადგენილებისა. მღვდელი ანანია კიკნაძე, როგორც ყოფილი პოლიციის აგენტი, სრულიად განდევნილ იქნა ყოველგვარი კრებისაგან და წევრობისაგანაც“.

ვაცხადებ, რომ კომიტეტს ამგვარი დადგენილება არა ქონია.

კომიტეტის მონდობილობით თავმჯდომარე ტ. თაბუკაშვილი.

19 აპრილი 1917 წ.

დ. ხარაგოული.

ბ ნო რიდაქტორო!

„ჩვენი ქვეყნის“ მესამე № ში მოთავსებულია წერილი ბესარიონ ხარბედიას ხელ-მოწერით ზაურიად, ექიმის, ბიკტორ ხარბედიას შესახებ —ვითომც ის ხალხის გამტყავებელი იყოს და თავის სოფელში 25 მანეთის ნაკლებ არ მიდიოდეს. გაიგორა ეს სოფელმა, ფიცხლად მოახდინა კრება, რომელსაც მთელი სოფელი დაესწრო.

ბესარიონ ხარბედიამ კრებაზე განაცხადა, რომ ეს მისი დაწერილი არ არის. მთელმა კრებამ ერთხმად დაადგინა რომ გაზეთი „ჩვენი ქვეყნის“ მესამე ნომერში მოთავსებული ცნობები ბ. ექ. ხარბედიას შესახებ სიმართლეს არ შეეფერება. მთელი სოფელი ბ. ექ. ხარბედიას თანაგრძნობას უცხადებს და თხოვს ყურადღება არ მიაქციოს ვიღაც უსინიდისო ადამიანის წერილს ზიზღი მის დამწერს. პირიქით ხალხისადმი ბ. ხარბედიას დიდი სამსახურიც მიუძღვის. უსასყიდლო ექიმობს: ღარიბებს, სათადარიგო ჯარის კაცთა ცოლ-შვილებს და სალდათებს. თავის სოფელში უფასოდ [illegible] შემთხვევაა, რომ ვინმესთვის გამოერთმიოს არამც თუ 25 მანეთი არამედ 5 მანეთიც. კრებამ დამავალა მე ეს გაზეთში გამომეცხადებინა, და რადგანაც ბესარიონ ხარბედიამ წერილის ავტორობაზე უარი განაცხადა, ... მწამებელი გამომეძებნა. მთელი სოფლის დავალებით. სოფლის აღმასრულებელი კომიტეტის წევრთაგანი ისააკი გ. ხარბედია.

1917 წ. 19 აპრილი.

რედაქტორ გამომცემელი
დ. ბ. კვირკელია.


**მასაჟისა და სახის სამკ. კაბინეტი**
**მარიამ ტ. ბალანჩივაძისა.**

ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, კორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობებს. ამასთან ვუცრი ყვავილსაც **ახლად მიღებულ დეტრიტით** და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერტლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფები მიიღებიან დილის 9—2 და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი ბ. კოსტავას სახლი № 17.


# რკინისგზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 8 ს. | წ. |
| „ | — საღამ. — | 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის — | 1 ს. | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. 50 | „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 11 ს. — | „ |
| „ | — ღამის — | 11 ს. 34 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს — | 7 ს. 5 | „ |
| „ | — დილის — | 7 ს. | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 4 ს. | „ |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 8 ს. 40 | „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 5 ს. 20 | „ |


ს. ბუგეულის რაჭის მაზრაში პირველ აპრილდან

**განახლდა**

ძმ. წულუკიძეების **ბოგირდის აბანოს** მუშაობა. აბანოსთან არის, ცხრა მოწყობილი ოთახი ავათმყოფებისათვის და სუფთა საბანაო თეთრი ქვის ვანები. იქვე იშოვება ყოველგვარი სანოვაგე მიმსვლელ ავათმყოფებისთვის. გამგე **ივანე სოხაძე.**

**ექიმები:**

**ვ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს, 7 თ.

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.
(სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. 4

**ა. მ. ასათიანი** ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ა. დ. მაჭავარიანი** (ყოფილი უფროსი ექიმი სმეცკის გულსუსტებიანთა სანატორიისა) იღებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფებს დილის 8—1 და საღამოს 6—8 საათამდე.
დადიანის ქ. სახლი ჩაჩანიძის (წულეისკირისეული

**უკაცობა და ნევრასტენია.**

უკაცობისა და ნევრასტენიის დროს ავათმყოფები დიდი სიფრთხილით უნდა მოექცენ სამკურნებელ საშუალებათა ამორჩევაში. ბევრგვარი საშუალება არსებობს, რომელიც დროებით ამაგრებს ნერვიულ სისტემას, ხოლო შემდეგ უფრო ავითარებენ ავათმყოფობას. ნამდვილ მეცნიერულად მომზადებულ და ცნობილ პროფესორებისაგან მოწონებულ საშუალებათ უკაცობის დროს ითვლება რადიკალური ფრანგული პრეპარატი **გრანული ექიმ გლეზისაა. გრანული** ექ. გლეზისა მრავალნაირათ გამოსცადეს ევროპის სხვილ კლინიკებში და მეციერების წარმომადგენლებისაგან ცნობილ იქნა, როგორც რადიკალური და უტყუარი საშუალება სხვადასხვაგვარ ფორმის სქესურ იმპოტენციის და ნერვულ სისუტის წინააღმდეგ წამლობისათვის. **გრანული** ექ. გლეზისა პირდაპირ მოქმედებს ნერვიულ-სქესურ ცენტრზე, რომელიც სქესურ მოქმედებას ხელმძღვანელობს, ამაგრებს მათ, ისპობს სისუსტეს და ანახლებს ნორმალურ სქესურ ფუნქციებს. ამასთანავე **გრანულ** მთელს ნერვიულ სისტემას ასაზრდოებს ფოსფორით, ასაღებს მთელ ნერვიულ ძაფებს, სპობს სისუსტეს, უმატებს ძალას, სპობს სულით დაავათმყოფებას, გულის ცემას, თავის ტკივილს და სხვა ნიშნებს ნევრასტენიისას. **გრანული** ექ. გლეზისა—ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც აუცილებლათ ურჩევენ გამოჩენილი პროფესორები ყოველგვარ სისუსტის წინააღმდეგ და დიდი წარმატებით ხმარობენ ევროპის სანატორიებში კლინიკებსა და საავათმყოფოებში. **გრანული** იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში ,,საექიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა'' **ა. შავერზაშვილის** საათთ. მაღაზიაში. გიმნაზიის ქ., თეატრის პირდაპირ. ფასი ერთი ყუთისა—6 მანეთი. სრულ განთავისუფლებისათვის საჭიროა 2—3 ყუთი.

მრავალ მოწოდებათა შორის, რომელიც გამოთქმულია პროფესორებისა, ექიმებისა და ავათმყოფების მიერ, უადგილობის გამო აქ მოგვყავს მხოლოდ ერთი ცნობილი ექიმის—სტატსკი ოვეტნიკის ვ. ვ. ხრულის 50 წლის პრაქტ. აზრი წამლის შესახებ. მ. ხ. ექ. გლეზის მიერ მომზადებული პრეპარატი მე ვიხმარე სამი მხცოვანი ავათმყოფის წამლობის დროს და დავრწმუნდი, რომ პრეპარატი ექ. გლეზისა შეუდარებელ და უტყუარ საშუალებათ ვსცანი, თუნდაც მცირე დოზა საწყაო დღეში ორჯერ რომ მიიღოს ავათმყოფმა, ათი დღის შემდეგ უკვე დარწმუნდება ამ წამლის წარმატებაში. 48 წლის პრაქტიკის დროს მე ბევრგვარი საშუალება მიხმარია ახლად თუ ძველათ გამოგონილი, მაგრამ სიმართლე უნდა ვსთქვათ, რომ გლეზის პრეპარატს პირველი ადგილი უკავია მათ შორის ნერვების გამაგრებისა და კაცობის აღდგენაში.

დოქტ. სტ. სოვ. ვიკენტი ვიკენტის ძე **ხრული**. ქ. ოდესა.


სტამბა „ძმობა“ ქუთაისში, პუშკინის ქუჩა.